

პარკირების ჯარიმების ნახვა ახარ ვებ-გვერდზე შესაძლებელი



დღეიდან თბილისში პარკირების ჯარიმების ნახვა ახარ ვებ-გვერდზე Tp.ge-ზე იქნება შესაძლებელი. როგორც სატრანსპორტო კომპანიაში აცხადებენ, ჯარიმების ოდენობა და პარკირების საშვების მოსაკრებლის

ღირებულება უცვლელი რჩება.

სატრანსპორტო კომპანია “სითი პარკის” თანამშრომლების ნაწილთან გააგრძელებს მუშაობას. სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელის მამუკა კობახიძეს თქმით, “სითი პარკში” 145-მდე თანამშრომელი იყო და აქედან მერიასთან თანამშრომლობის სურვილი 102-მა გამოთქვა. აქედან 10 ევაკუატორის მძღოლია, 102 კი კონტროლიორი. კობახიძემ ასევე განაცხადა, რომ 1 თვის ვადაში კეთილმოწყობა ქადაქში პარკირების სისტემა, პარადედურად კი მიდის სამუშაოები, რათა საპარკინგე ადგილები გაიზარდოს.

დედაქადაქში პარკირების სისტემის ადმინისტრირებას დღეიდან თბილისის სატრანსპორტო კომპანია განახორციელებს. მერიასა და „სითი პარკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება ოფიციალურად შეწყდა. დღესვე თბილისის ქუჩებში “სითი პარკის” აბრების დემონტაჟი დაიწყო. პარადედურად თბილისის პარკინგის ინფრასტრუქტურის პრეზენტაცია გაიმართა. სამსახურის კონტროლიორებს ახარი უნიფორმები აქვთ, ასევე განახიდა ავტოპარკი და საევაკუაციო ტექნიკა.